

საიდ. N 77969/03

IR 1208315

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 123-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრთან - „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ, შემდეგი შემადგენლობით: ს. მუჯირი (თავმჯდომარე), თ. ჯაფარიძე, ს. ებრალიძე, გ. ფანცულაიას მდივნობით განიხილა კომპანიის ობშჩესტვო ს ოგრანიჩენნოი ოტვეტსტვენოსტიუ „პარაფარმ“ (Obshchestvo s ogranichennoy otvetstvennostyu „Parafarm“) N123-03/15 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 01 ივლისის N1901/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო კომბინირებული სასაქონლო ნიშნისთვის „КАРДИОТОН“ (საიდ. N77969/03, IR 1208315) დაცვის მინიჭება საქართველოში მე-5 კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „ფარმაცევტული პრეპარატი განკუთვნილი გულსისხლძარღვთა დაავადების სამკურნალოდ“.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 1 ივლისის N1901/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სერეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი „КАРДИОТОН“ დაცვას არ ექვემდებარება, ვინაიდან მსგავსია შპს „ჯი-ემ-პი“-ს (მის.: ფონიჭალა N65, 0165, თბილისი, საქართველო) სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნისა „კარდიტონი КАРДИТОН CARDITON“ (რეგ. N25075, რეგ. თარიღი: 28/07/14) მე-5 კლასის მსგავსი საქონლის ჩამონათვლის მიმართ. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები აღრევამდე მსგავსია, როგორც ჟღერადობით, ისე ვიზუალურად. განცხადებულ და დაპირისპირებულ ნიშნებს აქვთ კირილიცაზე შესრულებული მსგავსი სიტყვიერი ელემენტები - „КАРДИОТОН“ და „КАРДИТОН“. დაპირისპირებული ნიშანი დამატებით შესრულებულია ქართულ და ლათინურ ენებზე - „კარდიტონი CARDITON“, რაც წარმოადგენს „КАРДИТОН“-ის ტრანსლიტერაციას. განცხადებული ნიშანი სიტყვიერ ნაწილთან ერთად შედგება გამოსახულებითი ელემენტისგანაც, მაგრამ აღნიშნულ ნიშანში დომინანტ ელემენტს წარმოადგენს სიტყვიერი ნაწილი „КАРДИОТОН“ და გამოსახულებითი ელემენტი მას ვერ სძენს საკმარის განმასხვავებლობას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე იქმნება ნიშნებს შორის აღრევისა და შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა. აღნიშნულის გამო, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს

„КАРДИОТОН“ უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე მე-5 კლასის განცხადებული საქონლის ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანია ობშჩესტვო ს ოგრანიჩენნოი ოტვეტსტვენოსტიუ „პარაფარმ“ (Obshchestvo s ogranichennoy otvetstvennostyu „Parafarm“) არ ეთანხმება ექსპერტიზის გადაწყვეტილებას შემდეგ გარემოებათა გამო:

დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები განსხვავდებიან, როგორც ვიზუალურად, ისე ჟღერადობით. სასაქონლო ნიშნები განსხვავდებიან ჟღერადობით, რადგან განცხადებული სასაქონლო ნიშანი, სიტყვიერ ნაწილში, დამატებით შეიცავს ასოს - „O“, რაც ნიშანს განსხვავებულ ჟღერადობას ანიჭებს.

აპელანტის პოზიციით, სასაქონლო ნიშნები განსხვავდებიან ვიზუალურად, რადგან განცხადებული სასაქონლო ნიშანი კომბინირებულია და სიტყვიერ ნაწილთან ერთად შედგება ფერადი გამოსახულებითი ნაწილისაგან. გარდა აღნიშნულისა, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი შესრულებულია ქართული და ლათინური ანბანით, ასევე კირილიცაზე, ხოლო განცხადებული სასაქონლო ნიშანი შესრულებულია მხოლოდ კირილიცაზე.

სასაქონლო ნიშნის საქონლის ჩამონათვალთან დაკავშირებით, აპელანტი განმარტავს, რომ საქონლის და მისი მწარმოებლის მიმართ მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის თავიდან აცილების მიზნით, აპელანტი თანახმაა მე-5 კლასის საქონლის ჩამონათვალი შეზღუდოს შემდეგნაირად: „ფარმაცევტული პრეპარატი განკუთვნილი გულსისხლძარღვთა დაავადების სამკურნალოდ“.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აპელანტი ითხოვს, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 01 ივლისის N1901/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო კომბინირებული სასაქონლო ნიშნისთვის „КАРДИОТОН“ (საიდ. N77969/03, IR 1208345) დაცვის მინიჭებას საქართველოში, მე-5 კლასის შემდეგი საქონლის ჩამონათვალის მიმართ: „ფარმაცევტული პრეპარატი განკუთვნილი გულსისხლძარღვთა დაავადების სამკურნალოდ“ .

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი (საიდ. №123-03/15) არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

სააპელაციო პალატის კოლეგია არ იზიარებს აპელანტის პოზიციას განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების განსხვავებაზე და მიაჩნია, რომ განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი „КАРДИОТОН“ (საიდ. N77969/03, IR 1208345) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „КАРДИТОН CARDITON“ (რეგ. N 25075, რეგ. თარიღი: 28/07/14) წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. სასაქონლო ნიშნები მსგავსია, როგორც ვიზუალური, ისე ფონეტიკური თვალსაზრისით.

განცხადებული სასაქონლო ნიშანი „КАРДИОТОН“ კომბინირებული ნიშანია და შედგება სიტყვიერი და გამოსახულებითი ნაწილებისაგან. სასაქონლო ნიშნის

სიტყვიერი ნაწილი შესრულებულია სტანდარტული ასომთავრული ასოებით, კირილიცაზე. გამოსახულებით ნაწილს წარმოადგენს: წითელი ტონალობის ფერებში შესრულებული მართკუთხედი და მასში განთავსებული გულის ფორმა, რომლის შიგნით გამოსახულია გულის ნორმა რიტმის კარდიოგრამა.

დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „კარდიტონი КАРДИТОН CARDITON“ წარმოადგენს: სტანდარტული ქართული, ლათინური და კირილიცის ანბანით შესრულებულ სიტყვიერ სასაქონლო ნიშანს.

იდენტურია განცხადებული სასაქონლო ნიშნის სიტყვიერი ელემენტის და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის კირილიცაზე შესრულებული სიტყვიერი ელემენტის პირველი ხუთი ასო „КАРДИ“ და ბოლო სამი ასო „ТОН“ განსხვავებას მათ შორის წარმოადგენს მხოლოდ ერთი ასო - „О“ და გამოსახულება. ამასთან, კოლეგია აღნიშნავს, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის, ქართული და ლათინური ანბანით შესრულება, წარმოადგენს ტრანსლიტერაციას, რაც სააპელაციო კოლეგიის აზრით, არ არის საკმარისი იმისთვის, რომ სასაქონლო ნიშნები მიჩნეულ იქნას ვიზუალურად განსხვავებულად.

დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია ფონეტიკურად, რადგან განცხადებული სასაქონლო ნიშანი გამოითქმის, როგორც „კარდიტონ“, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი გამოითქმის, როგორც „კარდიტონ“.

რაც შეეხება საქონლის ჩამონათვალს, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები განცხადებულია მე-5 კლასის საქონლის მიმართ. კერძოდ, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია მე-5 კლასის შემდეგი საქონლის მიმართ: „ფარმაცევტული და ვეტერინარული პრეპარატები; სამედიცინო დანიშნულების ჰიგიენური პრეპარატები; სამედიცინო და ვეტერინარული დანიშნულების დიეტური საკვები და ნივთიერებები, ბავშვთა კვება; დიეტური დანამატები ადამიანებისა და ცხოველებისათვის; სალბუნები, სახვევი მასალა; კბილის დასაბჟენი და კბილის ტვიფრის დასამზადებელი მასალა; მადეზინფიცირებელი საშუალებები; მავნე

ცხოველების გასანადგურებელი პრეპარატები; ფუნგიციდები, ჰერბიციდები“. ხოლო განცხადებული სასაქონლო ნიშნის დაცვა მოითხოვება მე-5 კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „ფარმაცევტული პრეპარატი, განკუთვნილი გულსისხლძარღვთა დაავადების სამკურნალოდ“. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მე-5 კლასის საქონლის ჩამონათვალი მოიცავს განცხადებული სასაქონლო ნიშნის მე-5 კლასის ჩამონათვალს. შესაბამისად, სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების საქონელი მსგავსია.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის ობშჩესტვო ს ოგრანიჩენოი ოტვეტსტვენნოსტიუ „პარაფარმ“ (Obshchestvo s ogranichennoy otvetstvennostyu „Parafarm“) (სააპელაციო საჩივარი (საიდ. № 123-03/14) არ დაკმაყოფილდეს.

2. ძალაში დარჩეს „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 1 ივლისის N1901/03 ბრძანება.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

ს. მუჯირი

წევრები:

თ. ჯაფარიძე

ს. ებრალიძე